საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №1-1/28

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 29 ივნისის №1-1/250 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების წესი და პირობები“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი	ერეკლე კეჟერაშვილი

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების წესი და პირობები“ (შემდგომ – წესი) არეგულირებს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების წესებსა და პირობებს.

2. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება გულისხმობს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად სსიპ – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რომლის მიზანია იმ სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის აღიარება და რეესტრში აღრიცხვა, რომელიც უფლებამოსილი იქნება სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტს მიაწოდოს შესაბამისი ცოდნა სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან, შეფუთვასთან, დატვირთვასთან, გადმოტვირთვასთან და დახარისხებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ, ასევე იმ მოვალეობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს სარკინიგზო კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო;

ბ) **საფასური** – ამ წესის შესაბამისად სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის მის ანგარიშზე გადარიცხული სავალდებულო თანხა, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების მინისტრის ნორმატიული აქტით;

გ) **სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს სააგენტოს მიერ გაცემულ სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის მოქმედ სერტიფიკატს;

დ) **სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირი (შემდგომ – სწავლების განმახორციელებელი პირი)** – იურიდიული პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად აღიარებულია როგორც სწავლების განმახორციელებელი პირი და რომელიც ახორციელებს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) **სწავლების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (შემდგომ – სწავლების სერტიფიკატი)** – სწავლების განმახორციელებელი პირის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პირმა წარმატებით გაიარა სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლება;

ვ) **სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი (შემდგომ – სერტიფიკატი)** – სააგენტოს მიერ სერტიფიკატის მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე გაცემული სერტიფიკატი;

ზ) **განმცხადებელი** – დაინტერესებული პირი, რომელსაც სურს ამ წესის საფუძველზე მიიღოს სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსი, მოახდინოს ამ სტატუსის შეჩერება, განახლება ან/და გაუქმება;

თ) **სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლება** – სწავლება, რომლის მიზანია პირისთვის შესაბამისი კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად და რომლის წარმატებით გავლის შედეგად გაიცემა სწავლების სერტიფიკატი;

ი) **სერტიფიკატის მისაღები გამოცდა (შემდგომ – გამოცდა)** – სააგენტოს მიერ ორგანიზებული თეორიული გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პირი მიიღებს სერტიფიკატს;

კ) **ტრენერი** – ამ წესის შესაბამისად აღიარებული სწავლების განმახორციელებელი პირის მიერ განსაზღვრული ფიზიკური პირი, რომლის კომპეტენცია სააგენტოს მიერ ამ წესის შესაბამისად შეფასდა დადებითად და უშუალოდ ახორციელებს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტთა სწავლებას;

ლ) **ტრენერობის კანდიდატი (შემდგომ – კანდიდატი)** – განმცხადებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი ფიზიკური პირი, რომლის კომპეტენციაც ამ წესის შესაბამისად უნდა შეფასდეს სააგენტოს მიერ, რათა ის გახდეს ტრენერი;

მ) **სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ რეგულაცია (RID) (შემდგომ – RID)** – „საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ“ 1980 წლის 9 მაისის კონვენციის (კოტიფი) C დანართი − სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ რეგულაცია.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 3. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება

1. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარებას ახორციელებს სააგენტო.

2. განმცხადებელმა, რომელსაც სურს სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება, უნდა მიმართოს სააგენტოს ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული განცხადებით, რომელსაც უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სასწავლო პროგრამა (სასწავლო გეგმა, მათ შორის სწავლების, თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსის აღწერა), რომელიც შესაბამისობაშია სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესებთან და პირობებთან“;

ბ) სასწავლო პროგრამის ზოგადი მიზნების და კომპეტენციის მისანიჭებლად საჭირო მეთოდების აღწერა;

გ) სწავლების შესაფასებლად გამოცდის ჩატარების მიზნის, ტიპისა და პროცედურის აღწერა;

დ) სწავლების ჩატარების, შეფასებისა და დასწრების აღრიცხვის პროცედურების აღწერა;

ე) სწავლების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა;

ვ) სწავლების ჩატარებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის და მათთვის განსაზღვრული კვალიფიკაციის აღწერა;

ზ) კანდიდატის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც ჩართული უნდა იყოს სწავლების განხორციელებაში;

თ) სწავლების დასრულების შემდეგ პირისათვის მინიჭებული კომპეტენციის აღწერა;

ი) სწავლების სერტიფიკატის ნიმუში;

კ) სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ლ) შესაბამისი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

3. სააგენტო უზრუნველყოფს სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება ხორციელდება წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეფასების გზით. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს განმცხადებელთან ვიზიტი, გაესაუბროს სწავლების განხორციელებაში ჩართულ პირებს და ადგილზე შეამოწმოს განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობა.

5. სააგენტო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო თუ განცხადება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იღებს წარმოებაში.

6. თუ განმცხადებელი სააგენტოს არ წარუდგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს/ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

7. თუ განმცხადებელი სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტს/ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადების არსებითი განხილვისთვის, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

8. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების შესახებ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში.

9. თუ სააგენტოში წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ და განმცხადებელს განუსაზღვრავს 14 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. განმცხადებელს დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე უფლება აქვს მოითხოვოს დამატებით 7 სამუშაო დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის დაწესება აჩერებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული საერთო ვადის დინებას. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე. თუ ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ იქნება აღმოფხვრილი, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

10. თუ განმცხადებლის მიერ სააგენტოში წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირისთვის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების შესახებ 5 წლის ვადით.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 3[1]. კანდიდატის კომპეტენციის შეფასება

1. სააგენტო სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების ფარგლებში აფასებს კანდიდატის აუცილებელ კომპეტენციას, რომლის მიზანია მისი ცოდნისა და პროფესიული უნარების შეფასება სწავლების განსახორციელებლად.

2. სააგენტო ამ წესის დანართ №1-ით განსაზღვრული განცხადების წარმოებაში მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელსა და მის მიერ განსაზღვრულ კანდიდატს აცნობებს კანდიდატის კომპეტენციის შეფასების (შემდგომ – შეფასება), კერძოდ, ტესტირებისა და პრაქტიკული დავალების ჩატარების თარიღსა და დროს იმ საკონტაქტო ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებულია განცხადებაში.

3. შეფასება მოიცავს ორეტაპიან პროცედურას:

ა) ტესტირება და პრაქტიკული დავალება;

ბ) სადემონსტრაციო ლექცია.

4. ტესტირება და პრაქტიკული დავალება წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი გადალახავს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს.

5. ტესტირების ფარგლებში ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გენერირდება 80 ტესტური კითხვა, რომლებიც ეფუძნება სსიპ – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №1-1/31 ბრძანებით დამტკიცებული „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესებითა და პირობებით“ გათვალისწინებულ საკითხებს.

6. პრაქტიკული დავალებების ფარგლებში ელექტრონულ სისტემაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გენერირდება 10 საკითხი, რომელიც მოიცავს ღია კითხვებს ან/და სიტუაციურ ამოცანებს, რომლებიც მიზნად ისახავს სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, მათ შორის, RID-ის სიღრმისეული ცოდნის, სატრანსპორტო სპეციფიკის და სარკინიგზო შემთხვევებსა და ინციდენტებთან დაკავშირებული რისკების შეფასების უნარის გამოვლენას.

7. ტესტირებისა და პრაქტიკული დავალების შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) თითოეული ტესტური დავალება ფასდება – 1 ქულით;

ბ) თითოეული პრაქტიკული დავალება ფასდება მაქსიმუმ – 5 ქულით.

8. ტესტური ნაწილი ჩაბარებულად ჩაითვლება არანაკლებ 65 ქულის დაგროვების შემთხვევაში, ხოლო პრაქტიკული დავალება – არანაკლებ 40 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

9. ტესტირებისა და პრაქტიკული დავალების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ტესტური დავალებებისათვის – 160 წუთი;

ბ) პრაქტიკული დავალებებისათვის – 200 წუთი.

10. ტესტირება ტარდება ქართულ ენაზე, ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული კანდიდატი ტესტირებას აბარებს დამოუკიდებლად, სხვა პირის დახმარების ან სხვა ნებისმიერი დამხმარე საცნობარო მასალების გარეშე, ისე რომ ხელი არ შეუშალოს ტესტირების მსვლელობას. დამხმარე საცნობარო მასალების

გამოყენების აკრძალვა არ ვრცელდება პრაქტიკული დავალებების ნაწილზე, სადაც დასაშვებია RID-ის ქართულენოვანი ელექტრონული ვერსიის შეუზღუდავი გამოყენება.

11. ტესტური დავალებების შედეგს კანდიდატი გაეცნობა ელექტრონული ფორმით, ტესტირების დასრულებისთანავე, ხოლო პრაქტიკული დავალების შედეგი ეცნობება საგამოცდო ოქმის საფუძველზე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, პრაქტიკული დავალების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც აითვლება პრაქტიკული დავალების დასრულების მომდევნო დღიდან.

12. თუ კანდიდატი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ტესტური დავალებების ჩაბარებისათვის მინიმალურ ზღვარს, იგი არ დაიშვება ტესტირების პრაქტიკული დავალებების ნაწილზე.

13. კანდიდატთა ტესტირებისა და პრაქტიკული დავალების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სააგენტო ამ წესის დანართ №2-ის შესაბამისად ქმნის კანდიდატის კომპეტენციის შეფასების კომისიას (შემდგომ – კომისია) და 5 სამუშაო დღის ვადაში განსაზღვრავს კომისიის წინაშე სადემონსტრაციო ლექციის ჩატარების თარიღს.

14. სადემონსტრაციო ლექციის ფარგლებში, კანდიდატი კომისიის წინაშე წარადგენს პრეზენტაციას სასწავლო პროგრამიდან ერთ-ერთ თემაზე და პასუხობს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების საპრეზენტაციო თემები არ უნდა ემთხვეოდეს. სადემონსტრაციო ლექციის ფარგლებში პრეზენტაციის ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთიდან 45 წუთამდე.

15. გარდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებისა, სადემონსტრაციო ლექციის ეტაპზე კომისიის მიერ, სულ მცირე, ერთი კანდიდატის დადებითი შეფასება წარმოადგენს განმცხადებლის სწავლების განმახორციელებელ პირად აღიარების აუცილებელ პირობას.

16. კომისიის შექმნის წესები და კომისიის მიერ სადემონსტრაციო ლექციის ეტაპზე კანდიდატის კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ამ წესის დანართ №2-ის შესაბამისად.

17. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ყველა კანდიდატის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

18. კანდიდატად წარდგენილი პირი ექვემდებარება კომპეტენციის შეფასებას, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა მას კომპეტენციის დადებითი შეფასება სხვა სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების ფარგლებში.

19. კანდიდატს უფლება აქვს, წერილობითი ფორმით მოითხოვოს ტესტირების ან პრაქტიკული დავალების შედეგების ამონაბეჭდი და სააგენტოში გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

20. სააგენტო საჩივარს განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება პირს ეცნობება განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე/მობილური ტელეფონის ნომერზე.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 4. სწავლების განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობა

1. სწავლების განმახორციელებელი პირი ვალდებულია თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსოს საკუთარი სასწავლო პროგრამა და მოდულები, რომლებიც პერიოდულად უნდა განაახლოს მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

2. სწავლების განმახორციელებელი პირი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების შესაბამისი სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში ყოველკვირეული სასწავლო ცხრილის შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ სწავლების განმახორციელებელი პირი გეგმავს ტრენერის დამატებას, იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე და წარუდგინოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ტრენერად დასამატებელი პირი ექვემდებარება კანდიდატის კომპეტენციის შეფასებას ამ წესის 3^1 მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული პირი უფლებამოსილია ჩაერთოს სწავლების განხორციელებაში მხოლოდ ამ წესის 3^1 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის დადებითად შეფასების შემდეგ.

4. სწავლების განმახორციელებელი პირი ვალდებულია სტატუსის აღიარების მოქმედების ვადის განმავლობაში უზრუნველყოს სწავლების უწყვეტობა, სულ მცირე, ერთი ტრენერის მეშვეობით, რომლის კომპეტენციაც ამ წესის 3^1 მუხლის შესაბამისად დადებითად არის შეფასებული.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 31 მარტის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 01.04.2026წ.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 5. ინსპექტირება

სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების პროცესის და სწავლების განმახორციელებელი პირის ინსპექტირება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის ინსპექტირების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 6. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის შეჩერება/გაუქმება

1. სააგენტო უფლებამოსილია შეაჩეროს სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსი:

ა) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ) საჭირო ადამიანურ ან/და აკადემიურ რესურსთან დაკავშირებული შეუსაბამობის შემთხვევაში;

გ) სასწავლო მატერიალურ ან/და საინფორმაციო რესურსებთან დაკავშირებული შეუსაბამობის შემთხვევაში;

დ) ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამ წესთან ან/და საქართველოს კანონმდებლობასთან;

ე) სწავლების განმახორციელებელი პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სააგენტო სწავლების განმახორციელებელ პირს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით.

3. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის გაუქმების საფუძველია:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში შეუსაბამობის გამოუსწორებლობა;

ბ) სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის განახლებიდან 12 თვის განმავლობაში, თუ კვლავ დადგინდა იგივე მიზეზი, რაც გახდა სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის შეჩერების საფუძველი;

გ) თუ სწავლების განმახორციელებელ პირს საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, 1 წელზე მეტი ვადით აქვს სტატუსი შეჩერებული;

დ) სწავლების განმახორციელებელი პირის მოთხოვნა სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის გაუქმების თაობაზე;

ე) სწავლების განმახორციელებელი პირის ლიკვიდაცია.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 31 მარტის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 01.04.2026წ.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/60 - ვებგვერდი, 22.06.2026წ.

მუხლი 7. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის განახლება

სააგენტო სწავლების განმახორციელებელი პირის შეჩერებულ სტატუსს განაახლებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის შეჩერების მიზეზის გამოსწორების შემთხვევაში, რაც დასტურდება სააგენტოში შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის მეშვეობით;

ბ) სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის განახლების მიზნით სწავლების განმახორციელებელი პირის მიმართვის შემთხვევაში, თუ სტატუსის შეჩერება გამოწვეული იყო სწავლების განმახორციელებელი პირის მოთხოვნით.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 31 მარტის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 01.04.2026წ.

მუხლი 8. სააგენტოს მოვალეობები

1. სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლების განმახორციელებელი პირების რეესტრის წარმოებას ელექტრონული საინფორმაციო ბაზის მეშვეობით.

2. სააგენტო ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს სწავლების განმახორციელებელი პირის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) სასწავლო პროგრამის დასახელება;

გ) სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის მოქმედების ვადა;

დ) საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ვებგვერდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ელექტრონული საინფორმაციო ბაზის განახლების მიზნით, სწავლების განმახორციელებელმა პირმა უნდა აცნობოს სააგენტოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შემავალ მონაცემებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

დანართი №1

განცხადების ფორმა

I. განცხადების ტიპი

☐ სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება;
☐ სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის განახლება;
☐ სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის შეჩერება;
☐ სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის გაუქმება.

II. განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია

1.იურიდიული პირის სახელწოდება;

2.სამართლებრივი ფორმა;

3.საიდენტიფიკაციო კოდი;

4.იურიდიული მისამართი;

5.ფაქტობრივი მისამართი (არსებობის შემთხვევაში);

6.ტელეფონის ნომერი;

7.ელექტრონული ფოსტის მისამართი;

8.ვებგვერდი (არსებობის შემთხვევაში).

III. საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია
1.სახელი, გვარი;

2.თანამდებობა;

3.ტელეფონის ნომერი;

4.ელექტრონული ფოსტის მისამართი.

IV. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები

1.სასწავლო პროგრამა;

2.სასწავლო პროგრამის ზოგადი მიზნების და კომპეტენციის აღწერა;

3.გამოცდის ჩატარების პროცედურის აღწერა;

4.სწავლების ჩატარების, შეფასებისა და დასწრების აღრიცხვის პროცედურების აღწერა;

5.მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა;

6.კანდიდატისა და სწავლების ჩატარებისათვის აუცილებელ სხვა პირთა კვალიფიკაციის აღწერა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

7.სწავლების დასრულების შემდეგ პირისათვის მინიჭებული კომპეტენციის აღწერა;

8.სწავლების სერტიფიკატის ნიმუში;

9.მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

10. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

განმცხადებელი ადასტურებს, რომ წინამდებარე განცხადებაში მითითებული ინფორმაცია არის სრული, ზუსტი და უტყუარი და იღებს ვალდებულებას, სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების შემთხვევაში დაიცვას სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.

განცხადების შედგენის თარიღი: _____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

დანართი №2

კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დანართით განისაზღვრება კანდიდატების კომპეტენციის შეფასების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესები და სადემონსტრაციო ლექციის შეფასების კრიტერიუმები.
2. კომისიის შექმნის მიზანია კანდიდატთა პროფესიული კომპეტენციის, მათ შორის, სასწავლო პროცესის წარმართვის, ცოდნის გადაცემისა და კომუნიკაციის უნარების შეფასება, რათა შემოწმდეს მათი შესაბამისობა სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განხორციელებისთვის ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
3. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. კომისიის შექმნის წესი

1. კომისია იქმნება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. კომისია იქმნება მას შემდეგ, რაც კანდიდატი წარმატებით გაივლის ტესტირებასა და პრაქტიკულ დავალებას.
2. კომისიის შექმნის თაობაზე სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს სააგენტოს დირექტორს, რომელშიც უთითებს კანდიდატის კომპეტენციის შეფასების მიზნით კომისიის შექმნის საჭიროებაზე.
3. კომისია იქმნება დროებით, კონკრეტული შეფასების პროცედურის განხორციელების მიზნით და წყვეტს საქმიანობას შესაბამისი შეფასების დასრულებისთანავე.
4. სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელს ან მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს არ აქვს სადემონსტრაციო ლექციის შეფასების უფლებამოსილება.

მუხლი 3. კომისიის საქმიანობის წესი

1. კანდიდატის მიერ ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ტარდება კომისიის სხდომა, რომელზეც ამ დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ფასდება კანდიდატის მიერ ჩატარებული სადემონსტრაციო ლექცია.
2. კომისია სადემონსტრაციო ლექციას აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) სასწავლო მასალის ცოდნა;
ბ) გადმოცემისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

გ) ინტერაქციული სასწავლო მეთოდების გამოყენება, მათ შორის პრაქტიკული სავარჯიშოებისა და რეალური შემთხვევების გამოყენება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ თითოეულ კრიტერიუმს კომისიის უფლებამოსილი თითოეული წევრი ანიჭებს მინიმუმ 1 ქულას და მაქსიმუმ 5 ქულას.

4. კომისიის მიერ თითოეულ კრიტერიუმზე კანდიდატისთვის მინიჭებული ქულა გამოითვლება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. კანდიდატი დადებითად შეფასდება, თუ კომისიის მიერ მინიჭებული სამივე კრიტერიუმის ჯამური ქულა აღემატება 10 ქულას.

5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და კომისიის წევრები. ოქმში აისახება შეფასებული პირის სახელი და გვარი, მინიჭებული ქულები და შეფასების შედეგი.